გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტი

- უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების/მეპაიეების კრების ოქმი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ, რომელიც დამატებით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პროექტის ფარგლებში შესაქმნელი/შესაძენი ძირითადი საშუალებები, მანქანა-დანადგარები (ტრანსპორტირების და მონტაჟის ღირებულების ჩათვლით), შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე, საწარმოთა შესაბამისი კომუნიკაციებით უზრუნველყოფა და გადაწყვეტილება სააგენტოს სასარგებლოდ იპოთეკა/გირავნობით დატვირთვაზე გადაწყვეტილება;
- სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა შესაქმნელი შემნახველი საწარმოს ტექნიკური პარამეტრებისა და დაგეგმილი კულტურების შენახვის სპეციფიკის ურთიერთშესაბამისობის შესახებ;
- სამშენებლო / სამონტაჟო მომსახურებისა და დანადგარების/აგრეგატების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება ან/და ინვოისი (რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მხარეთა რეკვიზიტები, მიწოდების ვადა, გადახდის პირობა, ტექნიკა: ექსპლუატაციაში არ მყოფი). მშენებლობის შემთხვევაში, მშენებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გასაცემი სესხის პარამეტრების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ ან ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არაუმეტეს 1 000 ლარის დავალიანების შესახებ ან შესაბამისი დოკუმენტი სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ან მისი გადახდის ვალდებულების შესაბამისი კანონის საფუძველზე შეჩერების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- პოტენციური ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;

- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.